

ქ.თბილისი

2016 წლის 4 ოქტომბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2016 წლის 4 ოქტომბერს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში, მდებარე ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №49ა.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 4 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, სულხან სულხანიშვილი, ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქვა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა კლუბ თბ „ლოკომოტივი“-ს მენეჯერის რევაზ ჯაფარაშვილის განცხადება ამაწლის 25 სექტემბერს „დიდი 10“-ის ლიგის IV ტურის მატჩში, თბ „ლოკომოტივი“-სა და ქუთაისის „აია“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

სადისციპლინო კომისიამ განიხილა ოფიციალურად მოწოდებული ვიდეომასალა, დამატებით გამოკითხა სრკ-ს მსაჯები, სრკ-ს ოფიციალური წარმომადგენლები და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ზემოაღნიშნული მატჩის მე-40 წუთზე მომხდარი ფაქტი შესაძლებელია კვალიფიცირდეს როგორც „ნაადრევი ბოჭვა“, მაგრამ არა როგორც „მეტოქისთვის შეგნებულად ტრავმის მიყენება ან მცდელობა“, რაზეც აპელირებს კლუბ თბ „ლოკომოტივი“-ს მენეჯერი თავის განცხადებაში.

აქვე გვინდა განვმარტოთ, რომ არსებული სრკ-ს სადისციპლინო კოდექსით არ რეგულირდება ისეთი თამაშის წესის დარღვევა როგორცაა „ნაადრევი ბოჭვა“.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/